

ინდოევროპული ენების საერთო ლინგვისტური ნიშნები ფონოლოგიურ დონეზე

როგორც მეოთხე თავში აღინიშნა, ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარეა მონათესავე ენებს შორის კანონზომიერი შესატყვისობების დადგენა. ჩვენ უკვე განვიხილეთ კანონზომიერი შესატყვისობები ლექსიკურ დონეზე (მე-5 და მე-6 თავები), ამ თავში კი გაანალიზებული იქნება ბგერათშესატყვისობები ინდოევროპულ ენებს შორის, ანუ ინდოევროპული ენების კანონზომიერი შესატყვისობები ფონოლოგიურ დონეზე.

როგორც აღინიშნა, კანონზომიერი შესატყვისობა ფონოლოგიურ დონეზე არის ბგერათშესატყვისობები მონათესავე ენებს შორის, კერძოდ, მონათესავე ენის ერთ ბგერას მის მონათესავე ენაში კანონზომიერად შეესატყვისება იგივე ბგერა, ან რომელიმე სხვა ბგერა. მეოთხე თავში მოყვანილი იყო ცალკეული მაგალითები როგორც ინდოევროპული, ისე ქართველური ენებიდან, მაგრამ ამ თავში ეს საკითხი უფრო ფართოდ იქნება გაანალიზებული.

განვიხილოთ რომანული ენების მაგალითი.

სიტყვა ასი-ს ეკვივალენტები რომანულ ენებში:

(1) ასი: სარდინიული **kentu**, იტალიური **tjento**, რომანშული¹ **tsjent**, ფრანგული **sā**, ესპანური **θjen**.

როგორც ვხედავთ, მოცემულია სიტყვა ასი რამდენიმე რომანული ენიდან: სარდინიული, იტალიური, რომანშული, ფრანგული და ესპანური. სარდინიულ **k**-ს იტალიურში შეესატყვისება **tj**-, რომანშულში **ts**-, ფრანგულში **s**- და ესპანურში **θ**-.

¹ რომანშული არის ე.წ. რეტორომანული ენა, შვეიცარიის მეოთხე სახელმწიფო ენა გერმანულთან, ფრანგულთან და იტალიურთან ერთად.

არის თუ არა ეს ბგერათშესატყვისობა მხოლოდ ამ ერთ სიტყვაში?

განვიხილოთ კიდევ ერთი სიტყვა იმავე ენების ლექსიკური ფონდიდან.

(2) ცა: სარდინიული **kɛlu**, იტალიური **tʃelo**, რომანშული **tsil**, ფრანგული **sʃɛl**,
ესპანური **θjelo**.

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაშიც სარდინიულ **k**-ს იტალიურში შეესატყვისება **tʃ**-,
რომანშულში **ts**-, ფრანგულში **s**- და ესპანურში **θ**-.

გავაანალიზოთ კიდევ რამდენიმე მაგალითი:

(3) ხარირემი: სარდინიული **kɛrbu**, იტალიური **tʃervo**, რომანშული **tsɛrf**, ფრანგული
sɛr, ესპანური **θjerbo**.

(4) ცვილი: სარდინიული **kɛra**, იტალიური **tʃera**, რომანშული **tsaira**, ფრანგული **sir**,
ესპანური **θera**.

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, სარდინიული **k**-ს შესატყვისობა
იტალიურ **tʃ**-სთან, რომანშულ **ts**-სთან, ფრანგულ **s**-სთან და ესპანურში **θ**-სთან არის
კანონზომიერი და იგი გვხვდება არა ერთ სიტყვაში, არამედ ყველა სიტყვაში,
რომელიც განეკუთვნება საერთო რომანულ ლექსიკას. სავარაუდოდ, პროტოენაში
არსებობდა ერთი თანხმოვანი, რომელიც სხვადასხვაგვარად შეიცვალა ხუთივე ენაში.
ეს სავარაუდო ბგერა პროტოენაში უნდა ყოფილიყო ***k**, რაც დასტურდება კიდევ
ლათინური ენის, რომანული ენების წინარე ენის მასალით.

**მაშასადამე, ასეთ ბგერათშესატყვისობებს მონათესავე ენებს შორის ეწოდება
კანონზომიერი შესატყვისობა.**

კანონზომიერი ბგერათშესატყვისობები არსებობს ყველა მონათესავე ენაში. მეოთხე
თავში განვიხილეთ რამდენიმე მაგალითი ინგლისური და გერმანული ენების
ბგერათშესატყვისობებიდან. აღნიშნული ბგერათშესატყვისობები, ისევე როგორც
ბევრი სხვა შესატყვისობა ინგლისურ და გერმანულ ენებს შორის ატარებს

რეგულარულ ხასიათს და ცნობილია თანხმოვანთა მეორე ზემოგერმანული გადაწევის სახელით.

განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი.

(1) ინგლისური	d ay	გერმანული	T ag
ინგლისური	d ream	გერმანული	T raum
ინგლისური	br e d	გერმანული	Br o t
ინგლისური	d rink	გერმანული	t rinken
ძვ. ინგლისური	f a der	გერმანული	V a ter

როგორც ამ მაგალითებიდან ჩანს, ინგლისურ ყრუ ხშულ თანხმოვან **d**-ს გერმანულ ენაში შეესატყვისება მჟღერი ხშული **t**-.

შემდეგი მაგალითი

(2) ინგლისური	e at	გერმანული	e ssen
ინგლისური	w ater	გერმანული	W a sser
ინგლისური	h ot	გერმანული	he i ss

როგორც ზემომოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ინგლისურ **t**-ს ხმოვნის შემდეგ გერმანულ ენაში შეესატყვისება **ss**-.

აღსანიშნავია, რომ ეს ბგერათშესატყვისობები არსებობს არა მხოლოდ ინგლისურსა და გერმანულ ენებს შორის, არამედ გერმანულ ენასა და სხვა გერმანიკულ ენებს შორისაც. განვიხილოთ გერმანული, შვედური და ჰოლანდიური ენების მაგალითები.

(3) დღე:	გერმანული T ag	შვედური d ag	ჰოლანდიური d ag
პური:	გერმანული Br o t	შვედური br ö d	ჰოლანდიური bro o d
სიზმარი:	გერმანული T raum	შვედური d röm	ჰოლანდიური d room

როგორც ამ მაგალითებიდან ჩანს, შვედური და ჰოლანდიური ენების შემთხვევაშიც, გერმანულ t-ს, ამ ენებში, ინგლისური ენის მსგავსად, შეესატყვისება d-.

როგორც აღინიშნა, ბგერათშესატყვისობებს, ერთი მხრივ, გერმანულ ენასა და, მეორე მხრივ, სხვა გერმანიკულ ენებს შორის ეწოდება **თანხმოვანთა მეორე ზემოგერმანული გადაწევა**. სრულად ეს ბგერათშესატყვისობები მოცემულია ქვემოთ:

I	p > ff	II	p > pf	III	b > p
	t > ss		t > z		d > t
	k > hh		k > kh (kch)		g > k

თუ ამ ბგერათშესატყვისობებს წესის სახეს მივცემთ, ეს წესები ასე გამოიყურება:

I გერმანიკული ენების ყრუ ხშული² თანხმოვნები, ხმოვნების შემდეგ, ძვ. ზემოგერმანულ ენაში გადავიდნენ ყრუ სპირანტებში³

II გერმანიკული ენების ყრუ ხშული ბგერები, თანხმოვნების შემდეგ და სიტყვის საწყის პოზიციაში, ძვ. ზემოგერმანულში გადავიდნენ აფრიკატებში⁴

III გერმანიკული ენების მჟღერი ხშული ბგერები ძვ. ზემოგერმანულში გადავიდნენ ყრუ ხშულ თანხმოვნებში.

თანხმოვანთა ამ გადაწევის შედეგად მივიღეთ ის შესატყვისობები, რაც არსებობს თანამედროვე გერმანულსა და სხვა თანამედროვე გერმანიკულ ენებს შორის.

კიდევ უფრო მასშტაბურია ბგერათშესატყვისობები ინდოევროპული ენებისა და გერმანიკული ენების ხშული თანხმოვნების სისტემებს შორის.

განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი.

² ხშული თანხმოვნებია: p, t, k - ყრუ ხშულები; b, d, g - მჟღერი ხშულები

³ ყრუ სპირანტები: f, s, h

⁴ აფრიკატები: pf, z, kh / kch

(1) მამა: სანსკრიტი **pitár**, ბერძნული **patēr**, ლათინური **pater**, ფრანგული **père**, იტალიური **padre**, ესპანური **padre**

ინგლისური **father**, გერმანული **Vater**, შვედური **far**, ჰოლანდიური **vader**

როგორც ამ მაგალითიდან ჩანს, ინდოევროპულ **p**-ს გერმანიკულ ენებში შეესატყვისება ყრუ სპირანტი **f**-.

ვნახოთ კიდევ ერთი მაგალითი

(2) ტყავი: ბერძნული **pella**, ლათინური **pellis**

ინგლისური **fell** გერმანული **fiel** შვედური **föll**

ეს მაგალითიც ადასტურებს იმ დებულებას, რომ ინდოევროპულ **p**-ს გერმანიკულ ენებში შეესატყვისება **f**-.

განვიხილოთ შემდეგი ბგერათშესატყვისობა.

(3) გული: ბერძნული **kardia**, ლათინური **cor(d)**, იტალიური **cuore**, ფრანგული **cœur**

ინგლისური **heart**, გერმანული **Herz**, შვედური **hjärta**, გოთური **hairto**

მესამე მაგალითიდან ჩანს, რომ ინდოევროპულ ყრუ ხშულ თანხმოვანს **k**-, გერმანიკულ ენებში შეესატყვისება ყრუ სპირანტი **h**-.

(4) ათი: სანსკრიტი **dāca**, ბერძნული **déka**, ლათინური **decem**, ფრანგული **dix**, ესპანური **diez**, იტალიური **dieci**

ინგლისური **ten**, გერმანული **zehn**, შვედური **tio**, ჰოლანდიური **tien**

როგორც მეოთხე მაგალითი გვიჩვენებს, ინდოევროპულ მჟღერ თანხმოვანს **d**-, გერმანიკულ ენებში შეესატყვისება ყრუ ხშული **t**-. გერმანულ სიტყვაში თანხმოვანი **z** (**zehn**) არის თანხმოვანთა მეორე ზემოგერმანული გადაწვევის შედეგი.

(5) ორი: სანსკრიტი **dvā(u)**, ბერძნული **dyo**, ლათინური **duo**, ესპანური **dos**, ფრანგული **deux**, რუსული **два**

ინგლისური **two**, გერმანული **zwei**, შვედური **två**, ჰოლანდიური **twee**

მეხუთე მაგალითიც ადასტურებს დებულებას, რომ ინდოევროპულ მჟღერ თანხმოვანს **d-**, გერმანიკულ ენებში შეესატყვისება ყრუ ხშული **t-**. გერმანულ სიტყვაში თანხმოვანი **z (zwei)** ასევე არის თანხმოვანთა მეორე ზემოგერმანული გადაწევის შედეგი.

მექვესე მაგალითზე წარმოდგენილია კიდევ ერთი ბგერათშესატყვისობის მაგალითი ინდოევროპულ ენებსა და გერმანიკულ ენებს შორის.

(6) მუხლი: სანსკრიტი **jānu**, ბერძნული **góny**, ლათინური **genu**, ფრანგული

genou, იტალიური **ginocchio**

ინგლისური **knee**, გერმანული **Knie**, შვედური **knä**, ჰოლანდიური **knie**

ინდოევროპულ მჟღერ ხშულს **g-**, ინდოევროპულ ენებში შეესატყვისება ყრუ ხშული თანხმოვანი **k-**.

ბგერათშესატყვისობებს, ერთი მხრივ, ინდოევროპულ ენებსა და, მეორე მხრივ, გერმანიკულ ენებს შორის ეწოდება **თანხმოვანთა დიდი გადაწევა**, ან **გრიმის კანონი**.

სრულად ეს ბგერათშესატყვისობები ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:

I	$p > f$	II	$b > p$	III	$bh > b$
	$t > \theta$		$d > t$		$dh > d$
	$k > h$		$g > k$		$gh > g$

კანონის სახით ეს წესები შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვაცალიბოთ:

I ინდოევროპულ ყრუ ხშულებს გერმანიკულ ენებში შეესატყვისება ყრუ

სპირანტებში: $p, t, k > f, \theta, h$

II ინდოევროპულ მჟღერ ხშულებს გერმანიკულ ენებში შეესატყვისება ყრუ

ხშულებში: $b, d, g > p, t, k$

III ინდოევროპულ მჟღერ ფშვინვიერ ხშულებს გერმანიკულ ენებში შეესატყვისება

მჟღერი ხშულები: $bh, dh, gh > b, d, g$.

უნდა აღინიშნოს, რომ ბგერათშესატყვისობები ინდოევროპულ ენებსა და გერმანიკულ ენებს შორის თავდაპირველად ისტორიულ-შედარებითი მეთოდის ფუძემდებელმა რასმუს რასკმა შენიშნა და ამის შესახებ დაწერა კიდევ თავის ნაშრომებში. გერმანელი

ენათმეცნიერის იაკობ გრიშის დამსახურება არის ის, რომ მან რასმუს რასკის ცალკეულ აღმოჩენებს კანონის სახე მისცა და წამოაყენა შემდეგი მნიშვნელოვანი დებულებები:

1. თანხმოვანთა მეორე ზემოგერმანული გადაწევა თავისი არსით მსგავსია თანხმოვანთა დიდი გადაწევისა;
2. ერთი და იგივე ფორმულა გამოიყენება სხვადასხვა თანხმოვნებისადმი, იქნება ეს ლაბიალური (b, p), დენტალური (d, t) თუ ველარული (k, g);
3. თანხმოვანთა დიდი გადაწევა ეფუძნება თანხმოვანთა დაყოფას სამ კლასად: მჟღერი, ყრუ და ფშვინვიერი.

მაშასადამე, ბგერათმესატყვისობები არსებობს როგორც ორ მონათესავე ენას შორის, ისე მონათესავე ენათა ჯგუფის / შტოს ენებს შორის და ასევე მონათესავე ენების მთელი ოჯახის ენებს შორის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კანონზომიერი შესატყვი-ობები ვლინდება მხოლოდ საერთო ლექსიკის სიტყვებში (inherited lexicon).

ბგერათმესატყვისობები ენებს შორის არის მათი ნათესაობის ყველაზე თვალსაჩინო გამოვლინება.

როგორც წინა თავებში აღინიშნა, ისტორიულ-შედარებითი მეთოდი უნივერსალური მეთოდია და, მიუხედავად იმისა, რომ იგი გამოვლინდა გერმანიკული და ინდოევროპული ენების მეცნიერული შესწავლის პროოცესში, ეს მეთოდი კარგად ესადაგება ენათა სხვა ოჯახებს, მათ შორის ქართველურ ენებსაც.

ქვემოთ მოცემულია რამდენიმე ბგერათმესატყვისობა ქართველურ ენებს შორის ჰაინც ფენრიხისა და ზურაბ სარჯველადის წიგნიდან „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი“.

პროტოქართველური	ქართული	მეგრული	ლაზური	სვანური
*ა	ა	ო	ო	ა
*ე	ე	ა	ა	ე
*ი	ი	ი	ი	ი
*ო	ო	ო	ო	ო
*უ	უ	უ	უ	უ
*ძ	ძ	ჯ	ჯ	ჯ
*ც	ც	ჩ	ჩ	ჩ
*წ	წ	ჭ	ჭ	ჭ
*ბ	ბ	ბ	ბ	ბ

მაგალითები:

ანწლი	ინჭირ-	ინჭირ-	განჭუ-
წნეხი	ჭინახ-		
ცხვირი	ჩხვინდ-	ჩხვინდ-	
ცხრა	ჩხორ-	ჩხორ-	ჩხარ-
კაცი	კორ-	კორ-	
ასული	ოსურ-	ოსურ-	ასუშ-

და სხვა.

უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

1. რა მნიშვნელობა აქვს მონათესავე ენებს შორის კანონზომიერი შესატყვისობების დადგენას?
2. რას ნიშნავს ენებს შორის კანონზომიერი შესატყვისობა ფონოლოგიურ დონეზე?
3. რომანულ ენებს შორის არსებული კანონზომიერი ფონოლოგიური შესატყვისობების რა მაგალითები შეგიძლიათ მოიყვანოთ?

3. ინგლისურ და გერმანულ ენებს შორის არსებული კანონზომიერი ბგერათშესატყვისობების რა მაგალითები შეგიძლიათ მოიყვანოთ?
4. რა ეწოდება ბგერათშესატყვისობებს გერმანულ ენასა და სხვა გერმანიკულ ენებს შორის?
5. თანხმობანთა მეორე ზემოგერმანული გადაწევის რა კონკრეტული მაგალითები შეგიძლიათ დაასახელოთ?
6. რა ეწოდება ბგერათშესატყვისობებს ერთი მხრივ ინდოევროპულ ენებსა და მეორე მხრივ გერმანიკულ ენებს შორის?
7. გრიმის კანონის რა კონკრეტული მაგალითები შეგიძლიათ მოიყვანოთ? (დაასახელოთ რამდენიმე)
8. რომელი დანიელი ენათმეცნიერი ითვლება ისტორიულ-შედარებითი მეთოდის ფუძემდებლად?
9. ისტორიულ-შედარებით ენათმეცნიერებაში რასმუს რასკის მიერ შეტანილი წვლილის გათვალისწინებით, რაში მდგომარეობს გერმანელი იაკობ გრიმის დამსახურება?
10. შეგიძლიათ ე.წ. „გრიმის კანონის“ ძირითად დებულებათა მოყვანა?
11. რამდენად შეიძლება ჩაითვალოს ენებს შორის კანონზომიერი ბგერათშესატყვისობების არსებობა ამ ენათა ნათესაობის დამადასტურებელ საბუთად?
12. შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ისტორიულ-შედარებითი მეთოდი უნივერსალური მეთოდია? ხომ არ მიგაჩნიათ, რომ ისტორიულ-შედარებითი მეთოდის კანონზომიერებანი მხოლოდ ინდოევროპულ ენათა ფარგლებში მოქმედებს?
13. არსებობს თუ არა კანონზომიერი შესატყვისობანი ქართველურ ენებს შორის? რას მოწმობს ეს ფაქტი?
14. რა ბგერა შეესატყვისება მეგრულში ქართულ ბგერა **წ-ს**? ქართულ ბგერა **ც-ს**?
15. მეგრულსა და ქართულს შორის კანონზომიერ ბგერათშესატყვისობათა არსებობის დასადგენად, რომელ ქართულ სიტყვას უნდა შევადაროთ მეგრული სიტყვა **ოსური** („ქალი“) – ქართულ სიტყვას „ქალი“, თუ ქართულ სიტყვას „ასული“?